სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/07

ქ. თბილისი 26 თებერვალი 2021

ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), ბატონი კარლო კოპალიანის 2021 წლის 11 თებერვლის №0000099820 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 თებერვლის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგში განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ: ჰიდროგეოლოგიის განყოფილების უფროსს მოეხსნას სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობა და სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს თვეში 850 ლარით, ნაცვლად 1 000 ლარისა; ასევე, საინჟინრო გეოლოგიის განყოფილების უფროსს დაემატოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობა და სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს თვეში 1 000 ლარით, ნაცვლად 850 ლარისა. ინსტიტუტის საშტატო ერთეულების რაოდენობა და სახელფასო ფონდი რჩება უცვლელი;
2. ზემოთ ჩამოთვლილი სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2021 წლის 1-ელი იანვრიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**